საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
**MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტო

**LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW**
**TECHNICAL AND CONSTRUCTION**
**SUPERVISION AGENCY**

0186, თბილისი, ჯიქიას ქ. N8 ტელ: (+995 32 ) 293-27-32 WEB: www.TACSA.gov.ge ს/კ 202466991
8, Jiqia Str. 0186 Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 293-27-32, Fax: (+995 32) 293-27-32
Email: tacsa@economy.ge

KA020121285610117

**№ 09/1575** **10 / ოქტომბერი / 2017 წ.**

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის
მოსამართლეს ქალბატონ ანა ჩხეტიას

თბილისის საქალაქო სასამართლო
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
შემოსვლის თარიღი 12.10.17
შემოსვლის დრო 5
შემოსვლის № 2126184
ფურცლების რაოდენობა 14ფ 01 ეგზ, 06 დ/სი
13ფ 05 ეგზ, 01 [illegible]

ქალბატონო ანა,

წარმოგიდგენთ შესაგებელს თქვენს წარმოებაში არსებულ შოთა ბუჩუკურის სარჩელთან დაკავშირებით (საქმეზე N3/6054-17).

დანართი: 1. შესაგებელი 6 ეგზემპლარად შესაბამისი დანართებით - 78 ფურცელი, 6 CD დისკი.

პატივისცემით,

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი

გრიგოლ კაკაურიძე

თბილისის საქალაქო
სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიას
*მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის*

# შესაგებელი
## ადმინისტრაციულ საქმეზე

საქმე №3/6054-17

მოსარჩელის სახელი, გვარი (სახელწოდება) — მოსამართლის სახელი და გვარი

**მოპასუხე:**

სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო — ქ. თბილისი ა. პოლიტკოვსკაის (ვ. ჯიქიას) ქ. N8

სახელი, გვარი (სახელწოდება) — პირადი (საიდენ.) ნომერი — ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი — სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

2 345370

სახლის ტელ. — სამსახურის ტელ. — მობილური — ფაქსი — ელექტრონული ფოსტა

**მოპასუხის წარმომადგენელი:**

სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი — პირადი ნომერი — ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი — სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. — სამსახურის ტელ. — მობილური — ფაქსი — ელექტრონული ფოსტა

**საკონტაქტო პირი:**

დავით კუხიანიძე
ირინა თავხელიძე
თენგიზ კოდუა — 599589856
ქეთევან ორაგველიძე — 591197725

სახელი, გვარი — სახლის ტელ. — მობილური — ელექტრონული ფოსტა

*ვალდებული ხართ თქვენი შესაგებელი სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები სარჩელისათვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.*

*ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge*
*სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge*

# ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲠᲔᲑᲔᲚ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲡᲘᲐ

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი

სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა შენიშვნა-7

**ᲪᲜᲝᲑᲗ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲠᲩᲔᲚᲡ?**

ᲓᲘᲐᲮ ☐
ᲐᲠᲐ ☒
ᲜᲐᲬᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ☐ შენიშვნა-8

---

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

# მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე

შენიშვნა-9 შენიშვნა-10 შენიშვნა-11 შენიშვნა-12

პირველ ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-2 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-3 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-4 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-5 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები
თენგიზ კოდუას მოხსენებითი ბარათი დაცულია აღმასრულებელი პრივილეგიით, საქართველო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 29-ე მუხლის მიხედვით თანამდებობის პირის მიერ გადაწყვეტილებათა მომზადების პროცესში მონაწილე სხვა საჯარო მოსამსახურეთა (გარდ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისა) ვინაობა დაცულია გამხელისაგან აღმასრულებელი პრივილეგიით. თენგიზ კოდუას მოხსენებითი ბარათი წარმოადგენს სააგენტო შიდა კორესპოდენციას.
მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მე-6 ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები
მტკიცებულება :
ა. (დანართი)
მე-7 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები
შოთა ბუჩუკურს სააგენტოს 2017 წლის 8 ივნისის N09/845 წერილით გადაეგზავნა pdf ფაილა "qsani-stefanwminda korespodencia" სადაც შპს "ენერგოტრანსის" 2016 წლის 2 ივნისის N292 წერილ ასევე არის მიმაგრებული, აღნიშნული წერილი თავად მოსარჩელის მიერ არის დართულ სარჩელზე. რაც შეეხება თენგიზ კოდუას მოხსენებით ბარათს აღნიშნული დაცულ აღმასრულებელი პრივილეგიით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 29- მუხლის საფუძველზე.
მტიცებულება :
ა. (დანართი)
მე-8 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვეთანხმები
შოთა ბუჩუკურს სააგენტოს 2017 წლის 8 ივნისის N09/845 წერილით გადაეგზავნა pdf ფაილა "qsani-stefanwminda korespodencia" სადაც შპს "ენერგოტრანსის" 2016 წლის პირველი ნოემბრ N635 წერილი ასევე არის მიმაგრებული. აღნიშნული წერილი თავად მოსარჩელის მიერ არ დართული სარჩელზე. რაც შეეხება ასტამურ აჩბას მოხსენებით ბარათს აღნიშნული დაცულ აღმასრულებელი პრივილეგიით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 29- მუხლის საფუძველზე.

---

მტკიცებულება :
ა. (დანართი)

მე-9 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვარ ინფორმირებული
მტკიცებულება :
ა. (დანართი)

## დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები

1. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

2. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?

**დიახ** ☐ რის საფუძველზე?

**არა** ☒

შენიშვნა-16

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს?

**დიახ** ☐ რის საფუძველზე?

**არა** ☒

შენიშვნა-17

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?

**დიახ** ☐ რომელი საფუძვლით?

**არა** ☒

შენიშვნა-18

ხომ არ აპირებთ, შეგებებული სარჩელის აღძვრას?

**დიახ** ☐ რომელი საფუძვლით?

**არა** ☒

შენიშვნა-19

## მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძვლებზე

პირველ სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

არ ვეთანხმებით სასარჩელო მოთხოვნას ",,ქსნის" ქვესადგურიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოქრუაანამდე (პკ.0+პკ.327+44-მდე) 500კვ. ელექტროგადამცემი ხაზის ,,ქსანი-სტეფან წმინდა"-ს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ" სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2016 წლის 23 მარტის №54-04 ბრძანების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით.

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მიგვაჩნია, რომ პირველი სასარჩელო მოთხოვნა ",,ქსნის" ქვესადგურიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოქრუაანამდე (პკ.0+პკ.327+44-მდე) 500კვ. ელექტროგადამცემი ხაზის ,,ქსანი-სტეფან წმინდა"-ს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ" სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2016 წლის 23 მარტის №54-04 ბრძანების (შემდგომში - N54-04 ბრძანება) ბათილად ცნობასთან დაკავშირებით არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გამო:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის პირველი ნაწილი ადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის საფუძვლებს. ნორმის მიხედვით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. მოსარჩელე ვერ უთითებს კონკრეტულ პროცედურებზე ან/და მოთხოვნებზე, რომელიც დაირღვა აღნიშნული ბრძანების გამოცემით, აღნიშნული ბრძანებით ქსანი-სტეფანწმინდის 500 კვ.-იანი ელექტროგადამცემი ხაზისათვის დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, მოსარჩელე ჩამოთვლის მხოლოდ ნორმატიული აქტების მუხლებს და არ მიუთითებს, თუ რა საფუძვლით არ შეესაბამება აღნიშნულ ნორმებს სადავო აქტი. მოსარჩელე მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მუხლებზე, რომლებიც თითქოსდა სააგენტოს ქმედებების შედეგად დაირღვა, თუმცა სააგენტო ყველა ქმედების განხორციელებისას მოქმედებდა მხოლოდ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, კერძოდ:

ქვეპუნქტის თანახმად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია დაინტერესებული პირის განცხადება, შპს "ენერგოტრანსმა" 2016 წლის 17 თებერვალს N71 წერილით სააგენტოს მომართა და მოითხოვა ,,ქსნის" ქვესადგურიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოქრუაანამდე (პკ.0+პკ.327+44-მდე) 500კვ. ელექტროგადამცემი ხაზის ,,ქსანი-სტეფანწმინდა"-ს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება, შესაბამისად სწორედ აღნიშნული განცხადების საფუძველზე დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების (შემდგომში - N57 დადგენილება) 45-ე მუხლი განსაზღვრავს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების წესს, ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულია დოკუმენტაცია, რაც თან უნდა დაერთოს განცხადებას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ. ამ პუნქტის „თ" ქვეპუნქტის მიხედვით N57 დადგენილების 53-ე მუხლის 5 2-პრიმა პუნქტში მითითებულ შემთხვევებში განცხადებას თან უნდა დაერთოს სამშენებლო მიზნებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების კოორდინატები, რომელთა საფუძველზეც მტკიცდება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. შესაბამისად, შესაძლებელია მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება მხოლოდ მისი კოორდინატების მითითებით, საკუთრების ან/და სარგებლობის უფლების რეგისტრაციის გარეშე. შესაბამისად, უსაფუძვლოა მოსარჩელის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ რადგან გასაჩივრებული აქტის გამოცემისას "უცნობი იყო სამშენებლო ბანაკებისა და მისასვლელი გზების განთავსების ადგილები", სადავო აქტის გამოცემით სააგენტომ უხეშად დაარღვია N57 დადგენილების მოთხოვნები. ამასთან, მითითება ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაზე და ამ საფუძვლით №54-04 ბრძანების ბათილობის მოთხოვნა არ არის საფუძვლიანი, რადგან "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე ეკოლოგური ექსპერტიზის დასკვნა გაიცემა მშენებლობის ნებართვის გაცემის II სტადიაზე და აღნიშნული ბრძანების გამოცემის დროისათვის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა აღნიშნულ ობიექტზე არ იყო დამტკიცებული.

გარდა ამისა, უსაფუძვლოა სააგენტოს აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნა ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ საფუძვლითაც, რომ ზემოთმითითებული მუხლის შესაბამისად - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამ მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებლი წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. 32-ე და 34-ე მუხლები კი შეეხება კოლეგიალურ ადმინისტრაციულ ორგანოს, სააგენტო კი ასეთ ორგანოს არ წარმოადგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რადგან მოსარჩელე ვერ უთითებს №54-0 ბრძანების ბათილობის ვერცერთ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველს მიგვაჩნია, რომ პირველი სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

მე-2 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

არ ვეთანხმებით მე-2 სასარჩელო მოთხოვნას სააგენტოს უფროსის 2016 წლის 19 ივლისის N121-0 ბრძანების ""ქსნის" ქვესადგურიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოქრუაანამდე (პკ0+პკ.327+44-მდე) 500 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის "ქსანი-სტეფანწმინდა"-ს მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ" ბათილობასთან დაკავშირებით.

მიგვაჩნია, რომ მე-2 სასარჩელო მოთხოვნა სააგენტოს უფროსის 2016 წლის 19 ივლისის N121-04 ბრძანების ""ქსნის" ქვესადგურიდან დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოქრუაანამდე (პკ0+პკ.327+44-მდე) 500 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის "ქსანი-სტეფანწმინდა"-ს მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ" (შემდგომში - N121-04 ბრძანება) ბათილობასთან დაკავშირებით არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გამო:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის პირველი ნაწილი ადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის საფუძვლებს. ნორმის მიხედვით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მოსარჩელე ყველა სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებისათვის ერთიდაიგივე ტექსტს იყენებს და შესაბამისად გაურკვეველია, რომელი სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებას კერძოდ რომელი საფუძვლით ითხოვს, რადგან თითოეული ბრძანება გამოცემულია დამოკიდებელი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში და შეუძლებელია ყველა მათგანის ბათილობის საფუძველი იყოს ერთი და იგივე გარემოება.

რაც შეეხება კონკრეტულად N121-04 ბრძანების ბათილობის საფუძველს და მასში ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საკითხის განხილვას, სააგენტოს უფროსის N121-04 ბრძანება წარმოადგენს პირობადებულ ნებართვას, რომლის მიხედვითაც მშენებლობის ნებართვა გაიცა შემდეგი პირობებით:

„ა) 2017 წლის პირველი აგვისტოს ჩათვლით სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში წარდგენილი იქნას ამ ბრძანების დანართ N1-ში მოცემული სამშენებლო მიზნებისათვის გამოსაყენებელი ტერიტორიის (მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების) კოორდინატებში მითითებულ მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი საბუთი.

ბ) სამშენებლო სამუშაოები განხორციელდეს იმ მიწის ნაკვეთი/ნაკვეთებზე, რომლებზეც სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში წარმოდგენილ იქნება საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი საბუთი."

N57 დადგენილების 53-ე მუხლის 5 2-პრიმა პუნქტის მიხედვით, ხაზობრივი ნაგებობის ან/და მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურული ობიექტების, ელექტროსადგურის ან/და ქვესადგურის მშენებლობის შემთხვევაში, შესაბამის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი სახელმწიფო ორგანოს მიერ მისი სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან ობიექტად მიჩნევის შემთხვევაში, ნებართვის მაძიებლის მიმართვის საფუძველზე, შეიძლება გაიცეს პირობადებული მშენებლობის ნებართვა, თუ მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოში წარდგენილი იქნება სამშენებლო მიზნებისათვის გამოსაყენებელი ტერიტორიის (მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების) კოორდინატები, UTM კოორდინატთა სისტემაში და ფაილების ელექტრონული ვერსიები (*.shp) ფორმატში რა დროსაც სანებართვო პირობებში განისაზღვრება მიწის ნაკვეთის/ნაკვეთების საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელი საბუთების წარდგენის ვადა. აღნიშნული ნორმის მიხედვით, ნებართვის მფლობელს შეუძლია დაიწყოს სათანადო სამშენებლო სამუშაოები მხოლოდ იმ მიწის ნაკვეთზე ან ნაკვეთებზე, რომლებზეც წარადგენს საკუთრების ან სარგებლობის დამადასტურებელ დოკუმენტს. შესაბამისად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ არსებობდა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს შუამდგომლობა, სააგენტომ კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით გასცა პირობადებული ნებართვა აღნიშნულ ობიექტზე, რაც გულისხმობს, რომ სააგენტოს მიერ N121-04 ბრძანება გაცემულია N57 დადგენილების მოთხოვნათა დაცვით.

რაც შეეხება ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას, „ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით დადებითი ეკოლოგიური

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 27 მაისის No-260 ბრძანებით (შემდგომში - No-260 ბრძანება) დამტკიცებულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა, რაც გახდა N121-04 ბრძანების გამოცემის საფუძველი.

გარდა ამისა, უსაფუძვლოა სააგენტოს აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნა ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ საფუძვლითაც, რომ ზემოთმითითებული მუხლის შესაბამისად - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამ მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებლი წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. 32-ე და 34-ე მუხლები კი შეეხება კოლეგიალურ ადმინისტრაციულ ორგანოს, სააგენტო კი ასეთ ორგანოს არ წარმოადგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა სააგენტოს უფროსის N121-04 ბრძანების ბათილობასთან დაკავშირებით უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

მე-3 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

არ ვეთანხმებით მე-3 სასარჩელო მოთხოვნას სააგენტოს უფროსის 2016 წლის 7 ოქტომბრის N179-04 ბრძანების "დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოქრუაანიდან და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის, სოფელ აჩხოტამდე "ქსანი-სტეფანწმინდა"-ს 500 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის მეორე მონაკვეთის (პკ.327+44დან - პკ.950+18-მდე) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ" ბათილობასთან დაკავშირებით.

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

მიგვაჩნია, რომ მე-3 სასარჩელო მოთხოვნა სააგენტოს უფროსის 2016 წლის 7 ოქტომბრის N179-04 ბრძანების "დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოქრუაანიდან და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის, სოფელ აჩხოტამდე "ქსანი-სტეფანწმინდა"-ს 500 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის მეორე მონაკვეთის (პკ.327+44დან - პკ.950+18-მდე) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ" (შემდგომში - N179-04 ბრძანება) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გამო:

მოსარჩელე ვერ უთითებს, იმ ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საფუძვლებს, რომელთა საფუძველზეც აღნიშნული აქტი უნდა იყოს ცნობილი ბათილად, სარჩელის დასაბუთებას მოსარჩელე მხოლოდ ზოგად მუხლებზე და პრინციპებზე მითითებით ცდილობს, შესაბამისად N179-04 ბრძანების N57 დადგენილებასა და სხვა ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შესახებ დასაბუთება იგივეა რაც პირველ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

მე-4 სასარჩელო მოთხოვნას (მოსარჩელეს არასწორი მითითებით მე-5) არ ვეთანხმები

არ ვეთანხმებით მე-4 სასარჩელო მოთხოვნას სააგენტოს უფროსის 2016 წლის პირველი დეკემბრის N204-04 ბრძანების "დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოქრუაანიდან ყაზბეგის მუნიციპალიტეტის, სოფელ აჩხოტამდე "ქსანი-სტეფანწმინდა"-ს 500 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის მეორე მონაკვეთის (პკ327+44 დან-პკ.950+18-მდე) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ" ბათილად ცნობასთან დაკავშირებით.

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე:

იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ დასაბუთება მეორდება ყველა სასარჩელო მოთხოვნაში ძირითადი დასაბუთება იხილეთ მე-2 სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, თუმცა, გარდა

[illegible] სააგენტოს უფროსის 2016 წლის [illegible] N204-04 [illegible]
"დუშეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ოქრუაანიდან ყაზბეგის მუნიციპალიტეტის, სოფელ აჩხოტამდე "ქსანი-სტეფანწმინდა"-ს 500 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის მეორე მონაკვეთის (პკ327+44 დან-პკ.950+18-მდე) მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ" (შემდგომში - N204-04 ბრძანება) დაკავშირებით გვინდა დამატებითი განმარტება გავაკეთოთ.

ქსანი სტეფანწმინდას 500 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზისათვის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა დამტკიცდა Nი-260 ბრძანებით, იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასება შესრულებული იყო მთლიან ელექტროგადამცემ ხაზზე, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნაც დამტკიცდა მთლიანი ელექტროგადამცემი ხაზისათვის, აღნიშნული არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით, ხოლო, მშენებლობის ნებართვის გაცემისათვის აღნიშნული ელექტროგადამცემი ხაზი მხოლოდ პირობითად დაიყო ორ მონაკვეთად, ასევე, ხაზობრივი ნაგებობის შემთხვევაში **N57** დადგენილების **53**-ე მუხლის 5 2-პრიმა პუნქტი ითვალისწინებს მშენებლობის ნებართვის გაცემას სამშენებლოდ გამოსაყენებლი მიწის ნაკვეთების კოორდინატებით, შესაბამისად სააგენტოში წარმოდგენილი იქნა სამშენებლო ობიექტის კოორდინატები, ქსანი-სტეფანწმინდის 500 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის ნებართვა გაცემულია კოორდინატების მიხედვით, რომელიც ემთხვევა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნისათვის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში წარდგენილ კოორდინატებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ მე-4 სასარჩელო მოთხოვნა სააგენტოს უფროსის N204-04 ბრძანების ბათილობასთან დაკავშირებით უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

მე-5 სასარჩელო მოთხოვნას არ ვეთანხმები
მე-6 სასარჩელო მოთხოვნას არ ვეთანხმები
ნე-7 სასარჩელო მოთხოვნა არ ვეთანხმები

# მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-23

| | |
|---|---|
| მოწმე | ფაქტობრივი გარემოება(ები) |
| ექსპერტი | ფაქტობრივი გარემოება(ები) |
| სპეციალისტი | ფაქტობრივი გარემოება(ები) |

შენიშვნა-24

შუამდგომლობები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით.
1.

შენიშვნა-25

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
1.

შენიშვნა-26

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
1.

შენიშვნა-27

# სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-28

1. მოთხოვნა

მიგვაჩნია, რომ უნდა მოხდეს განსახილველ საქმეში მესამე პირად ჩართვა შპს "ენერგოტრანსი" - ს იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ნ. ბარათაშვილის ქუჩა N2.

არგუმენტაცია:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მესამე პირად საქმეში შესაძლებელია ჩაბმულ იქნეს პირი, რომლის ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება, სააგენტოს ნაწილში გასაჩივრებული აქტები წარმოადგენს აღმჭურველ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რომლის საფუძველზე საქმიანობის განხორციელების უფლება მიენიჭა შპს "ენერგოტრანსს", შესაბამისად აღნიშნული აქტების გაბათილება უშუალოდ შპს "ენერგოტრანსის" ინტერესებს შეეხება.

2. მოთხოვნა

მიგვაჩნია, რომ უნდა მოხდეს განსახილველ საქმეში მესამე პირად ჩართვა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა N2.

არგუმენტაცია:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად თუ პირი არის სამართალურთიერთობის მონაწილე რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი, ის აუცილებლად უნდა იქნეს ჩაბმული საქმეში მესამე პირად, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ იშუამდგომლა ქსანი-სტეფანწმინიდის 500 კვ. ელექტროგადამცემი ხაზის სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან ობიექტად მიჩნევის შესახებ, რის საფუძველზეც მოხდა სააგენტოს მიერ პირობადებული ნებართვების გაცემა.

3. მოთხოვნა

მიგვაჩნია, რომ უნდა მოხდეს განსახილველ საქმეში მესამე პირად ჩართვა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, გ. გულუას ქ. 6

არგუმენტაცია:

---

საქართველოს ადმინისტრაციული [illegible] თუ პირი არის სამართალურთიერთობის მონაწილე რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი, ის აუცილებლად უნდა იქნეს ჩაბმული საქმეში მესამე პირად, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა აღნიშნულ ობიექტზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რაც გახდა მშენებლობის ნებართვის გაცემის საფუძველი.

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?

**დიახ** ☐ რის საფუძველზე?

**არა** ☒

შენიშვნა-25

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?

**დიახ** ☐ ვის? რომელი ენის მცოდნე?

**არა** ☒

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.

სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.

მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

## თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

**დიახ** ☐ მორიგების პირობები:

**არა** ☒ რადგან

## თანდართული საბუთების ნუსხა

დანართი 1: სააგენტოს მიერ შოთა ბუჩუკურის 2017 წლის 25 მაისის წერილზე გაგზავნილი ადმინისტრაციული წარმოების მასალები ელექტრონული ფორმით - 1 DVD დისკი

ფურცლების საერთო რაოდენობა: 13

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ ☐

არა ☒ რადგან

შენიშვნა-33

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

1 სხდომაში რადგან

შენიშვნა-34

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ ☐

არა ☒ რადგან

შენიშვნა-35

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე დროის ოპტიმალური შუალედი: 14:00 - 18:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ ☐

არა ☒ რადგან

შენიშვნა-36

**გთხოვთ, გაითვალისწინოთ!**
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე — თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

გრიგოლ კაკაურიძე 29/09/2017 წ.

ხელმოწერა ხელმომწერის სახელი, გვარი შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

ვლ.ჯიქიას ქ. №8
სსიპ-ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტო
ს/№202466991

# ადგილზე მისატანი

GEORGIA TBILISI თბილისი
11 -10- 2017
0186

[illegible]

საქართველოს ფოსტა
C010003521267
Georgian Post